№1404 2015 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

**თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ**

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოწონებულ იქნეს:

ა) ინფორმაცია სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტში ცვლილების განხორციელების თაობაზე;

ბ) სს „საქართველოს რკინიგზასა“ და შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფს“ შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტი;

გ) სს „საქართველოს რკინიგზასა“ და ILF-სა და DBI-ს შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტი.

2. სს „საპარტნიორო ფონდმა“ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმებების გაფორმების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**